# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 273

„19“ ივნისი 2025 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში მდებარე №180 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.180) *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების* საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $118^1$ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში მდებარე №180 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.180) *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების* თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 მაისის №25.867.974 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზურა ავალიშვილის ქ. №12-ში, ბლოკი „ც“-ს მე-3 საცხოვრებელ სართულზე მდებარე 84.40 კვ.მ. ფართობის №180 ბინის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.197.01.03.180) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით თამარ ჯავახიშვილისთვის (პ/ნ. 01008011618), ქურციკ ამირეჯიბისთვის (პ/ნ. 01008007479) და შალვა ამირეჯიბისთვის (პ/ნ. 01008008280) თანასაკუთრებაში გადაცემაზე, საპრივატიზებო საფასურით - 24507 (ოცდაოთხი ათას ხუთას შვიდი) ლარის ოდენობით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე